ხელშეკრულება N 115-ვ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ს. კაჭრეთი 2020 წელი

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი "აისი" (შემდგომში _ შემსყიდველი ს/კ 227770800), დირექტორის მალხაზ ასლამაზაშვილის და მეორეს მხრივ შპს ,,ედესი ჯგუფი'' მისი დირექტორის თამაზ შარიქაძის სახით (ს/კ 203868635) (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო სახსრებით საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა (CPV კოდი: 30100000) და ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები (CPV კოდი:22800000), სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (`სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ლ'' ქვეპუნქტის შესაბამისად).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია შემდეგი დასახელების საქონელი:

N	დასახელება	ზომის ერთეული	ფასი	რაოდენობა	სულ ფასი	CPV
1	ბლოკნოტი დივაიდერით A6 DONG DIVA6-850302	ცალი	2.9838	21	62.6598	22816100
2	ბაინდერი ვიწრო A4 ნარინჯისფერი DEKO	ცალი	2.8579	40	114.316	22851000
3	ბაინდერი განიერი A4 ყვითელი DEKO	ცალი	2.8579	2	5.7158	22851000
4	საქაღალდე კლიპფაილი ზამბარით A4 XH302A-BK შავი	ცალი	2.17	16	34.72	22852000
5	ფაილი BU 35 მიკრონი A4 SNH DEKO SHP35MK-BU	შეკვრა	3.751	50	187.55	22852100
6	სტეპლერის ტყვია N10	ცალი	0.37	20	7.4	30124400
7	ტყვია 24/6 DINGLI DL369	ცალი	0.4458	30	13.374	30124400
8	ვატმანი 200გრ A2	ცალი	0.49	100	49	30190000
9	ცარცი JONSHEN თეთრი 12 ც. MP52297	შეკვრა	1	1	1	30190000
10	კალამი ბურთულიანი WFB619-BU გამჭვირვალე კორპუსით/ ლურჯი	ცალი	0.24	300	72	30192121
11	შავი ფანქარი MEMORIS 6B MF923424-6B	ცალი	0.4	40	16	30192130
12	შავი ფანქარი MEMORIS HB MF923424 HB	ცალი	0.21	40	8.4	30192130
13	სათლელი KEYROAD საშლელით KR971076	ცალი	1.41	15	21.15	30192133
14	ფერადი ბეჭდვის ქაღალდი A3 120გრ 250ფ UPM	შეკვრა	46.6054	4	186.4216	30194300
15	ჩასანიშნი ქაღალდი 5ფ 435 ფ 90*90 VGL5	ცალი	2.088	8	16.704	30196200
16	ჩასანიშნი ქაღალდი 85*85 VG80574 500ფ	ცალი	1.5196	4	6.0784	30196200
17	ჩასანიშნი წებადი 76*76 300ფ SN-654N-3P5C ნეონის ფერები mix	ცალი	2.852	10	28.52	30196200
	სულ ღირებულება				831.01	

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 831,01 (რვაას ოცდათერთმეტი ლარი და 01 თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის
მოთხოვნებს.

3.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2020 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

4.3 საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფაქტურის და/ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენას.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები :

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა)წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

გ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულბის დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი

ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით^გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ლოჯისტიკის სპეციალისტი ბესიკ ზირაქაშვილი.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშერებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

მიმწოდებელი

შპს ,,ედესი ჯგუფი''

ს/კოდი: 203868635

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ანგარიში: GE02TB7565136020100001

მის: ქ. თბილისი ბელიაშვილის 157

დირექტორი: თ. შარიქაძე

Ltd Edesi Group

Digitally signed by Ltd Edesi Group
Date: 2020.07.29 14:39:23 +04'00'

შემსყიდველი:

სსიპ კოლეჯი ,,აისი''
ს/კ 227770800
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 709147276
მის: საქართველო, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ს. კაჭრეთი
ტელ: 790 717 218
E-mail: kachreti@gmail.com

დირექტორი: მ.ასლამაზაშვილი

Malkhazi Aslamazashvili

Digitally signed by Malkhazi Aslamazashvili
Date: 2020.07.27 15:36:17 +04'00'